პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1988 წ. № 202 (9869) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეს სურათები სეულის ოლიმპიადამდე რამდენიმე ხნით ადრეა გადაღებული [illegible] ში, სადაც [illegible] ურთელები [illegible] ის კიდევ [illegible] რეული სეულიდან დავით გობეჯიშვილი (სურათზე მარცხნივ) და გელა კეტაშვილი (ბურთისთვის ბრძოლაში) ჩემპიონებად დაბრუნდებიან, ლერი ხაბელოვი კი (სურათზე მარჯვნივ) — ვერცხლის მედლით.

ეს უმაწვილები კი ახლა იდგამენ ფეხს სპორტულ სარბიელზე. ჯერ ეზოს ნახევრადმოყრილ მოედანზე ჭიდაობენ, მერე კი, მერე მათ... ოლიმპიური სარბიელი ელოდებათ. ასეთია ტრადიცია.





# ოლიმპიელი გმირები

ისინი ჭეშმარიტად გმირები არიან — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, ახალგაზრდები, რომლებმაც სეულში მსოფლიოს 160 ქვეყნის წარმომადგენლებთან ასპარეზობაში გაიმარჯვეს და საპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ავიდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ შრომას, რასაც ჩვენს დროში სპორტსმენები წლობით ეწევიან, თუ გავიხსენებთ, სპორტის ზოგიერთ სახეობაში რაოდენ დიდ რისკთან გვაქვს საქმე, ეს შეფასება გადაჭარბებული არ მოგვეჩვენება. გუშინ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში საკავშირო და რესპუბლიკის სპორტსახკომების ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან ჟურნალისტების შეხვედრისას ისიც კი ითქვა: რა უფრო ძნელია — ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვო თუ კოსმონავტი გახდე? განა თვით საკითხის ასე დასმა ბევრის მეტყველი არ არის? საბჭოთა ოლიმპიელებმა სეულში არა მარტო მაღალი სპორტული შედეგებით დაიმსახურეს საერთო პატივისცემა და აღიარება. ისინი გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობით. თვით ოლიმპიადის მასპინძლებმა საბჭოთა სპორტსმენებს „პირველი ბიჭები" უწოდეს. რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში? — ჩვენი ათლეტების კულტურა, ზრდილობა და თავმდაბლობა, ქცევა, დიდსულოვნება და ხაზგასმული მეგობრული ურთიერთობა.

ოლიმპიურ გმირებზე მოგახსენებდით. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი საზოგადოებრიობის, ჩვენი ხალხის მართლაც რომ ოქროს ფონდს შეადგენენ. განა მხოლოდ ჩემპიონებზე ითქმის ეს სიტყვები. სათანადო პატივი უნდა მივაგოთ იმათაც, ვინც საპრიზო ადგილზე გავიდა, და იმათაც, ვინც ოლიმპიური კვარცხლბეკის მიღმა დარჩა, საერთოდ, ოლიმპიადის მონაწილეებს. გაითვალისწინეთ ნაკრებ გუნდებში მოსახვედრად გაჩაღებული კონკურენცია და ყველაფერი ნათელი გახდება. გუშინდელ შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ როგორღაც თითქოს დევალვაცია განიცადა ყველა ოლიმპიურმა მიღწევამ, გარდა ჩემპიონობისა. ჩემპიონობა ჩემპიონობაა, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩემპიონები თანაგუნდელებს, სპეციალისტებს, ტრადიციებსაც აჰყავთ ოლიმპზე.

ოლიმპიელები ჭეშმარიტად ზნეობრივი გმირები არიან, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის. სწორედ ამიტომ, ძალიან სერიოზული, ღრმად მოფიქრებული პროგრამა გვჭირდება, რომ ოლიმპიელები, რომლებსაც ესოდენ დიდ პატივს სცემს მომავალი თაობა, მხარში ამოგვიდგნენ, როგორც აღმზრდელები. დიახ, ისინი აღმზრდელებიც არიან—იმ გზით, რაც გაიარეს, და იმ სახელით, რაც ამ გზაზე მოიპოვეს. არამც და არამც არ უნდა მოვწყვიტოთ ახალგაზრდობას ოლიმპიელები, ამ მიმართებით მუშაობის კარგი ტრადიციები უნდა განვამტკიცოთ, მაგრამ უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ ურთიერთობათა ახალ ფორმებზე. ამას დრო, თვით ცხოვრება მოითხოვს.

ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი, ორი ვერცხლისა და კიდევ ხუთი ბრინჯაოს პრიზიორი — თექვსმეტი ოლიმპიელი საქართველოდან და კიდევ წარსული თამაშების სხვა ჩემპიონები და პრიზიორები, ოლიმპიადების მონაწილეები. ჭეშმარიტად დიდი და მდიდარი რეზერვია ჩვენი. მაშ, ვიმოქმედოთ, პატივი და სიყვარული არ დავაკლოთ ჩვენს ოლიმპიელებს, ახალგაზრდა თაობის გზამკვლევად და ორიენტირად გამოვიყენოთ მათი მიღწევები, ქვეყნისა და ხალხისადმი სამსახურის მათეული წესი. ამას ერის ინტერესები მოითხოვს.

**ვუპერტალი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა გფრ-ის ამ ქალაქში ადგილობრივი კლუბი ლტვ დაამარცხა ანგარიშით 33:27 (18:11). ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ტუჩკინი და კარშაკევიჩი, რომლებმაც 8-8 გოლი გაიტანეს. მანამდე სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო „ბად შვარტაუს" კლუბს — 35:19.

**ჰაიდე (გფრ).** სეულის ოლიმპიადაზე ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს გუნდი ესტუმრა დასავლეთ გერმანიას და ორი მატჩი გამართა ადგილობრივ ნაკრებთან. პირველი დამთავრდა ფრედ — 20:20, მეორეში კი გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 24:21 (13:12).

**ტაშკენტი.** ნორჩ ჩოგბურთელთა ტრადიციულ ტურნირში, რომელიც უზბეკეთის დედაქალაქში მეცამეტედ ჩატარდა, მონაწილეობდა 26 ქვეყნის 360 წარმომადგენელი. შეჯიბრებაში, (იგი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა) თავი გამოიჩინეს: ეკატერინა ანტროპოვამ, ელენა კრუჩკომ (ორივე—რიგა), ანჟელა ჟგუნმა (ლიეპაი) და ვალერია კრასივსკაიამ (ლვოვი). ბიჭებში პირველი ადგილები დაიკავეს: მაქსიმ მირნიმ (მინსკი), ტიმურ ხანხოჯაევმა, დმიტრი ტომაშევიჩმა (ორივე — ტაშკენტი) და მარის სტრაუპინეკსმა (რიგა).

### ცელეცაიჰა - მქრიხველი

**ოდესა.** ხუთ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში ავსტრიის, უნგრეთის, გდრ-ის, იტალიის, პოლონეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობით. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობისათვის, უმთავრესად, საბჭოთა ფიგურისტები იბრძოდნენ. სხვებზე უკეთ გამოვიდა ელენა ტარანენკო. უცხოელთაგან ჩვენს სპორტსმენებს მეტნაკლები კონკურენცია ანა გაისერმა (გფრ) გაუწია. იგი „სკოლაში" პირველი, საერთო ჯამში კი მესამე იყო.

**22 ოქტომბერს, 12 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს სპორტსახკომის. კოლეგიის გაფართოებული სხდომა.**

**დღის წესრიგი**

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების ფინალურ ასპარეზობებში საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგებისა და 1989 წლის ზამთრისა და საზაფხულო საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობისათვის • რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მზადების შესახებ.

კოლეგიის სხდომაზე მოწვეულნი არიან ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო, რაიონული სპორტკომიტეტებისა და ნფსს-ს თავმჯდომარეები, სპორტსკოლების დირექტორები, მწვრთნელები, სპორტული ბაზების ხელმძღვანელები.

რეგისტრაცია დაიწყება 11 საათიდან.

**მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის**

## მეათე პარტია

**ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე**

**ლაზიერის გამბიტი**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. მf3 კb4 5. კg5 0—0 6. e3 c5 7. cd ed 8. dc მbd7 9. ეc1 მ:c5 10. ლd4 კ:c3+ 11. ლ:c3 მce4 12. კ:f6 ლ:f6 13. ლ:f6 მ:f6 14. კd3 კd7 15. მd4 ეfc8 16. მფe2 მფf8 17. f3 h5 18. h4 მფe7 19. მf5+ კ:f5 20. კ:f5 ეc6 21. ეcd1 ეd8 22. ეd2 ეdd6 23. g3 ეb6 24. ეhd1 ეdc6 25. b3 ეa6 26. კb1 ეc3 27. ეd4 ეac6 28. კd3 a5 29. g4 hg 30. fg ე3c5 31. b4 ab 32. ე:b4 b6 33. a4 მd7 34. კb5 ეc2+ 35. ეd2 ე:d2+ 36. მფ:d2 ეd6 37. კ:d7 მფ:d7 38. მფd3 მფe6 39. მფd4 ეc6 40. h5 f6 41. e4.

პარტია გადაიდო.

**პირველად** ამ მატჩში გათამაშდა ლაზიერის გამბიტი. მიუხედავად ამისა, მეტოქეები სწრაფად აკეთებდნენ სადებიუტო სვლებს. დებიუტის შემდეგ ჩიბურდანიძემ ცენტრში იზოლირებული პაიკი მიიღო და იოსელიანი შეეცადა ამ პაიკის ხელში ჩაგდებას. მე-13 სვლაზე გაიცვალა ლაზიერები და პოზიცია თანდათან გამარტივდა, თუმცა იოსელიანი მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა. მიტელშპილში მან შეცდომა დაუშვა — „კარგი" მხედარი შავების „ცუდ" კუზე გაცვალა, რის შემდეგაც ჩიბურდანიძემ სწრაფად გაათანაბრა პოზიცია. მან შეძლო ფიგურების გაცვლა და პარტია ეტლების ენდშპილში გადავიდა. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა.

ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ. თელავი.

**გუშინ...**

**მოეწყო ამ პარტიის დამთავრება. მეტოქეები თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.**

**ამრიგად, 10 პარტიის შემდეგ ანგარიშია 5,5:4,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.**

**მომდევნო, მეთერთმეტე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს. თეთრებით ითამაშებს მაია ჩიბურდანიძე.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## დებიუტანტი ლიდერის როლში

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა არმიელთა კოლექტივმა მეორე შეხვედრაც მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს" (114:78) და ოთხი ქულით გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

აქვე გაიმართა კიდევ ერთი კალენდარული მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და უმაღლესი ლიგის დებიუტანტს ალმა-ათის არმიელთა შორის. უაღრესად მძაფრ ბრძოლაში, შეხვედრის ბოლო წამებზე წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს (112:111). ამ მატჩშიც ცენტრალური ფიგურა ალმაათელთა ლიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი ტიხონენკო იყო. სწორედ მისი ოსტატური თამაშის წყალობით და იური ჟუკანენკოს აქტიური მხარდაჭერით მიაღწიეს წარმატებას ალმაათელმა კალათბურთელებმა.

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდმა ორ-ორი მატჩი უკვე ჩაატარა (ზოგმა სამიც კი). ტურნირში ჯერ არ ჩაბმულან კაუნასის „ჟალგირისისა" და მინსკის რტი-ს კალათბურთელები, რომელთა ურთიერთშეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, 27-28 იანვრისთვის გადაიდო.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ა-ათა) | 3 | 2 | 1 | 309-303 | 5 |
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 209-151 | 4 |
| „სტროიტ." (კ.) | 2 | 2 | 0 | 192-164 | 4 |
| „დინამო" (მოსკ.) | 3 | 1 | 2 | 279-292 | 4 |
| „სტატისა" (ვილნ.) | 2 | 1 | 1 | 201-175 | 3 |
| „კალევი" (ტალ.) | 2 | 1 | 1 | 180-168 | 3 |
| „დინამო" (თბ.) | 2 | 1 | 1 | 192-197 | 3 |
| ვეფ (რიგა) | 2 | 1 | 1 | 175-201 | 3 |
| „შახტ." (დონ.) | 2 | 0 | 2 | 164-192 | 2 |
| „სპარტ." (ლდ.) | 2 | 0 | 2 | 151-209 | 2 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | - | - | - | - | - |
| რტი (მინსკი) | - | - | - | - | - |

## ლეილა მესხის პირველი გამარჯვება

**ნეშვილი.** სეულის ოლიმპიადის მონაწილე ჩოგბურთელებისთვის გრძელდება დაძაბული სპორტული სეზონი. აშშ-ს ამ ქალაქში დაიწყო „ვირჯინია სლიმზის" სერიის ტურნირი, რომელშიც ჩვენი თანამემამულე ლეილა მესხი მესამე ნომრადაა განთესილი. მას პირველი შეხვედრა მასპინძელ ჯეინ თომასთან ჰქონდა. ლეილა მესხის უპირატესობა აშკარა იყო, განსაკუთრებით მეორე პარტიაში —6:3,6:1.

**ვენა.** აქ სტარტი აიღო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა „გრან პრის" პროგრამით. პირველ წრეში ტალინელმა ანდრის ვისანდმა შვედი ნიკლას კროონი დაამარცხა 7:5, 5:7, 6:2.

**ტოკიო.** ასევე წარმატებით ჩაატარა დიდი საერთაშორისო ტურნირის პირველი შეხვედრა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა, რომელმაც ორი პარტია მოუგო ზედიზედ ამერიკელ ჯოელ ბეილს — 7:5, 6:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება მძლეოსნობაში

# რა გვიჩვენა მეოთხედფინალებმა

**მეოთხედფინალებში** 27 გუნდი მონაწილეობდა, თუმცა მათი რაოდენობა მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეჯიბრებას თავი აარიდეს ყაზბეგის, გორისა და გორის რაიონის, სამტრედიის, თბილისის საქარხნო რაიონისა და ქალაქ სოხუმის წარმომადგენლებმა. ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება 16 გუნდმა მოიპოვა. მათთვის უკვე ჩატარდა წილისყრა, რომლის შედეგები ასეთია: I **ჯგუფი**. ქობულეთის, გარდაბნის, თბილისის 26 კომისრის, საჩხერის, წყალტუბოს, ყვარლის რაიონები, აგრეთვე ზუგდიდი და ცხინვალი. II **ჯგუფი**. ბათუმი, ფოთი, ჭიათურა, ქარელის, მახარაძის, ამბროლაურის, ახალციხისა და ორჯონიკიძის რაიონები. თბილისის „დინამოს" სტადიონზე 22 ოქტომბერს იასპარეზებს I ჯგუფი, მეორე — 31 ოქტომბერს. ფინალური შეჯიბრება 4 ნოემბერს გაიმართება.

ეს, რაც შეეხება შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეს, ახლა კი რამდენიმე სიტყვა მეოთხედფინალური შეჯიბრებების შესახებ.

მაინც, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნახევარფინალში გამოსვლის უფლება თბილისელთაგან მხოლოდ 26 კომისრის რაიონის სპორტსმენებმა მოიპოვეს? შარშან ამ ეტაპზე ორი ადგილობრივი გუნდი გამოდიოდა, იგივე 26 კომისრისა და საბურთალოს რაიონის სპორტსმენები (საბურთალოელებმა ჩემპიონობა მოიპოვეს). რა მტკიცება უნდა იმას, რომ მძლეოსნობაში სავარჯიშოდ თბილისში უკეთესი პირობებია, ვიდრე რაიონებში. ასეთი გულგრილობის მიზეზს იმედია ქალაქის რაიონების შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები გაარკვევენ და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანენ.

მეოთხედფინალში მონაწილე 316 სპორტსმენიდან პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულება ვერავინ შეძლო, მეორე თანრიგი აჩვენა 23-მა მძლეოსანმა, მესამე თანრიგი — 74-მა. ჭაბუკთა მეორე და მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა 173 მონაწილემ. ორმოცდაექვსი სპორტსმენი კი უთანრიგოდ დარჩა.

წინასწარი და მეოთხედფინალური შეჯიბრებების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მწვრთნელები და ფიზკულტურის მასწავლებლები საქმეს იიოლებენ, ყურადღებას უთმობენ მხოლოდ სპრინტერულ დისტანციებზე რბენას, ხოლო სხვა სახეობები გერის როლში ჰყავთ. ამის დამადასტურებლად თვით საქართველოს ჩემპიონატიც შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა „დინამოს" სტადიონზე.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები არაერთხელ გააფრთხილეს, სპორტსმენთა უმრავლესობა ფიზიკურად და ტექნიკურად ძალზე სუსტად არის მომზადებული. ყმაწვილებს უჭირთ ტერფსაბჯენების დაყენება, არ იციან სტარტზე დგომა, ხოლო ზოგიერთი დისტანციიდან გამოვიდა. მონაწილეები ხტებოდნენ პრიმიტიული ხერხით, ზოგჯერ სასაცილო იყო ბირთვის მკვრელთა გამოსვლის ცქერა მათი უსასოების გამო. ასეთი ხარვეზები მნიშვნელოვნად იმითაც აიხსნება, რომ სარბიელზე მეტწილად ისინი კი არ გამოდიოდნენ, ვინც წინა ეტაპები გაიარა, არამედ ჰაიჰარად შეკრებილი ბავშვები. ხშირად თბილისში ისინი ჩამოჰყავდათ, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. ხშირად იცვლებოდნენ გუნდების წარმომადგენლებიც.

ძალზე დასანანია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სპორტის მუშაკებს საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობა საჩვენებელი გამოსვლა ჰგონიათ და არად აგდებენ მის მნიშვნელობას.

იმედია, სეზონის ბოლოს მძლეოსნობის სპეციალისტები და ხელმძღვანელები დაწვრილებით განიხილავენ ამ შეჯიბრების შედეგებს და სათანადო ზომებსაც მიიღებენ, რათა იქნებ მომავალი სეზონის შეჯიბრება მაინც გამოდგეს ისეთი, როგორიც იგი არის ჩაფიქრებული.

**ვალერი ვაშაკიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# ჭაბუკები საკავშირო ტურნირებზე

**ორი** წელია, რაც ახმეტაში გაიხსნა ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა. დროის ეს მცირე მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სკოლის გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ქცეულიყო. მარტო წელს ახმეტის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების გარდა ექვს საკავშირო და ერთ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და არც ერთი შეჯიბრებიდან ხელცარიელები არ დაბრუნებულან.

ახლახან ლაზარევსკაიაში ჩატარდა 1972-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი ძიუდოში. ახმეტის ჭიდაობის სპორტსკოლის შვიდკაციანმა გუნდმა ოცდათექვსმეტ კოლექტივს შორის მესამე ადგილი დაიკავა. 57 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მამუკა აბრამიშვილი. მანვე დაიმსახურა ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისათვის დაწესებული პრიზი. ორ წონით კატეგორიაში — მძიმესა და აბსოლუტურში — უძლიერესი იყო რომან უძილაური (ჩემპიონების მწვრთნელია გუგული აბრამიშვილი).

**ქალაქ** ნალჩიკში მ. ახმეტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე 1973-75 წლებში დაბადებული 27 გუნდის 350 ჭაბუკი ძიუდოისტი მონაწილეობდა. ცხრა ახმეტელი სპორტსმენი გახდა ტურნირის პრიზიორი. ვერცხლის მედლები გადაეცათ ზურაბ აბულაშვილს (38 კგ) და არჩილ მეშველიანს (75 კგ), ბრინჯაოსი — გენადი ბორძიკაშვილს (32), რამაზ მოსიაშვილს (35), ლევან თედეშვილს (45), არკადი ზასეშვილს (49), იმედა ლაგაზაურს (62), ზურაბ ყაზარაშვილს (68) და ლერი ცინკვერაშვილს. საბოლოოდ, ახმეტის ჭიდაობის სპორტსკოლის ნაკრებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავა (გუნდი მოამზადა მწვრთნელთა ბრიგადამ გივი ახალაურის, გია ჯავახიშვილის, ელიზბარ ონიაშვილის, მალხაზ მოსიაშვილისა და მურად მაისურაძის შემადგენლობით). საუკეთესო მსაჯობისათვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა გივი ახალაურმა (ახმეტა).

მესამე საპრიზო ადგილი მეტეხის სპორტსკოლის გუნდს ხვდა წილად (მწვრთნელები ამირან გერმოზანაშვილი, ნუგზარ, ვასიკო და გოჩა მამულაშვილები). ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გოგიტა ქამხაძე (53 კგ) და ჯემალ მაღალაშვილი (მძიმე წონა). მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს რამაზ რევაზიშვილმა (53) და ბესიკ ერაშვილმა (68). 75 წონით კატეგორიაში მესამე იყო შალვა გაგლოშვილი.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

# გაიხსნა დასვენების ბაზა

**ქალაქ** ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე, მდინარე ჩხოუშიის მარჯვენა სანაპიროზე გაიხსნა მშრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღების კეთილმოწყობილი ბაზა „სიჭაბუკე". კომპლექსის ძირითადი ნაწილია სპორტული მოედანი, სადაც შეიძლება კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და მინიფეხბურთის თამაში. აქვეა გასართობ-დასასვენებელი კუთხე.

ბაზის მშენებლობა მოკლე ვადაში დაამთავრა საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ. კომპლექსის მშენებლობისა და მისი ტერიტორიის კეთილმოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მიკრორაიონის მოსახლეობამ.

**ბ. ალშიბაია.**

# მკითხველთა წერილები

## სად შევიძინოთ სპორტული ფორმა?

**გაკვეთილის** ჩატარებისას ფიზკულტურის მასწავლებელი სპორტულ ფორმაში რომ უნდა იყოს გამოწყობილი, ამაზე ორი აზრი, ცხადია, არ არსებობს. არც ისაა საკამათო, რომ ეს ფორმა მას კოხტად და ლამაზად უნდა ჰქონდეს მორგებული, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ რომ არ ეცვას, ის სჯობია და აი, რატომ: მახსოვს: ერთხელ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის დავალებით ერთ-ერთი სოფლის სკოლაში მიმავლინეს შესამოწმებლად. დავესწარი ფიზკულტურის გაკვეთილს. მასწავლებელს სპორტული ფორმა კი ეცვა, მაგრამ ვაი, ისეთ ჩაცმას — მოსწავლეები ჩუმად დასცინოდნენ. გაკვეთილის შემდეგ იმ მასწავლებელს ამხანაგურად ვურჩიე, მოსწავლეებთან ამ ფორმას ნუღარ ჩაიცვამ-მეთქი. მან გულისტკივილით მიპასუხა — ყველაფერი ვიცი, მაგრამ რა ვქნა, უკეთესი ვერ ვიშოვე. რომ არ ჩამეცვა, არც ეს შეიძლებოდა, მაშინ ხომ შენიშვნას მომცემდითო.

მართალი იყო ის მასწავლებელი. მითხარით, აბა, სად უნდა იშოვოს ფიზკულტურის მასწავლებელმა კოხტად, ლამაზად შეკერილი სპორტული ფორმა? სპორტულ მაღაზიებშიო, იტყვით, მაგრამ, მერწმუნეთ, ასეთ ფორმას იქ ძალზე იშვიათად წააწყდებით, რაიონის მაღაზიებში კი საერთოდ ვერ ნახავთ. დიახ, მაღაზიებში მხოლოდ პატარა ზომის უშნო და უხარისხო ფორმებია. კარგი თუ გინდა, გადამყიდველებს უნდა მიაკითხო, და, რა თქმა უნდა, ორმაგი, ორი თვის ხელფასს და მეტსაც რომ უდრის, იმდენი უნდა გადაიხადო.

კარგი იქნება თუ დაისმება საკითხი, რომ შემუშავდეს ფიზკულტურის მასწავლებლის სპორტული ფორმის სპეციალური მოდელი, რომელიც პედაგოგებზე განაწილდება. ჩემი აზრით, ეს მეორეხარისხოვანი საქმე არ გახლავთ.

**გ. ქუთათელაძე,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, შრომის ვეტერანი.**

წულუკიძე.

## იქნებ მოხერხდეს

**ალექსანდრე** ჩივაძემ ისე დატოვა ქვეყნის ნაკრები და თბილისის „დინამო". რომ მისთვის წადიო არავის უთქვამს, პირიქით, სთხოვდნენ კიდევ ეთამაშა, მაგრამ მან საჭიროდ ჩათვალა დიდი ფეხბურთიდან წასულიყო და წავიდა კიდეც, ამ დამსახურებული ფეხბურთელის გაცილება კი მხოლოდ დინამოელებმა შესძლეს სეზონის დაწყების წინ, ქვეყნის ნაკრებიდან გაცილება კი რატომღაც არ მოხერხდა. ხომ შეიძლება ეს საქმე საქართველოს ფედერაციამ ითავოს და მოაწყოს ერთი გამოსათხოვარი მატჩი ნაკრების დონეზე, საიდანაც გავაცილებთ ა. ჩივაძეს და თ. სულაქველიძეს.

ჩივაძისთვის ასეთ მატჩში მონაწილეობა თუნდაც რამდენიმე წუთით მრავალმხრივ სამახსოვრო იქნება და, რაც მთავარია, ეს 50-ე მატჩი იქნება ნაკრების შემადგენლობაში, რაც მას საშუალებას მისცემს ი. ნეტოს კლუბის წევრი გახდეს. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ყოფილი კაპიტანი უთუოდ ღირსია ასეთი ყურადღების.

**ი. ომონაძე.**

ბოლნისი.

## აღვადგინოთ ძველი ტრადიცია

**თბილისის** „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე რამდენიმე წლის წინ იოლი საქმე არ იყო ბილეთის შოვნა. მაშინ გუნდი ბრწყინვალედ თამაშობდა და ბილეთების დიდ ნაწილს წარმოება-დაწესებულებებში ანაწილებდნენ.

სტადიონზე მოსვლა ყველას უხაროდა, რადგანაც იქ ნამდვილი ზეიმი იმართებოდა.

ტაიმებს შორის შესვენებაზე თბილისის სპორტსკოლების ბავშვები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ფეხბურთში. ხშირად ეს თამაშები ისეთი საინტერესო იყო, რომ მოწინავე არბიტრებიც მსაჯობდნენ. მახსოვს კარგად, ერთი შავტუხა ბიჭი თამაშობდა, მაყურებლები მას „პელეს" ვეძახდით. მართლაც, რომ სასწაულებს ახდენდა ეს ვერცხლის წყალივით მოძრავი, ტექნიკური ბიჭუნა. ის ყველასაგან გამოირჩეოდა, მაგრამ ეს უწინ იყო, ამ ბოლო წლებში კი ბავშვებს სათამაშოდ მწვანე მინდორზე აღარ უშვებენ. აქ შესვლაც კი აკრძალულია, არა თუ თამაში.

ბავშვების ერთი ჯგუფი, სამხრეთის ტრიბუნის წინ რომ ერთი მტკაველა მინდორია, იქ აკოტრიალებს ბურთს.

ვინ იყო ის კაცი ბავშვებს რომ თამაში აუკრძალა და მინდორზე აღარ უშვებს მათ? აქაოდა ბავშვები მინდორს აფუჭებენო. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ბავშვებში არიან მომავალი ტალანტები, ნიჭიერი ფეხბურთელები „დინამოს" ახლა ჰაერივით რომ სჭირდება.

ბავშვები, ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, ერის ხვალინდელი დღეა. ნუ ვატკენთ მათ გულს, ნუ დავჩაგრავთ ბიჭუნებს.

დავუთმოთ მათ მწვანე მინდორი ფეხბურთის სათამაშოდ, აღვადგინოთ ძველი კარგი ტრადიცია.

**რ. კოვზიძე.**

## სასარგებლოც რომ იყოს

**ძვირფასო რედაქცია!** დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი (1988 წ. 4 აგვისტო) ჩინური ტანვარჯიშის „ტაიცი ციუანის" შესახებ. ჩემი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ მე საკმაო ხანია დავინტერესდი „უ-შუს" ზოგიერთი მიმართულებით, მათ შორის სამხრეთ ჩინეთში გავრცელებული სტილთ „ტაი-ცი ციუანით" ანუ „დაიში"-თ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ. ჩემი ყურადღება თვითონ ვარჯიშების აღწერის ფორმამ მიიპყრო. ფორმა, რომლითაც ვარჯიში მკითხველებს მოგვაწოდეს, არაფრისმთქმელია და ამდენად მის გამაჯანსაღებელ ეფექტზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია.

ის, ვინც დაახლოებით მაინც იცნობს ამ ვარჯიშებს (თუნდაც ზოგად აზრს), წერილის იმ ნაწილის წაკითხვის დროს, სადაც უშუალოდ პოზების განხილვა იწყება, მიხვდება მთავარ შეცდომას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეში ვარჯიშების შესრულებისას მთავარ ორიენტირს წარმოადგენს არა საათის ციფერბლატი, არამედ დედამიწის გეოგრაფიული მხარეები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი, აღმოსავლეთი. ვარჯიშთა მთელი სისტემა ემყარება დედამიწის მაგნიტური ველის, ანუ მაგნიტური ძალწირების კეთილმყოფელ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, რომელიც უთუოდ უნდა შევუთანხმოთ სხეულის სიმძიმის ცენტრის მუდმივ გადაადგილებას ერთი საყრდენი ფეხიდან მეორეზე და დიაფრაგმულ სუთქვას. სიმძიმის ცენტრის ასეთი გადაადგილება იწვევს კუნთების თანმიმდევრულ დაჭიმვას და მოდუნებას, რაც კარგად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, დამწყებმა მოვარჯიშემ აუცილებლად უნდა იქონიოს წარმოდგენა იმ ფილოსოფიურ წყაროებზე, რომელიც საფუძვლად უდევს „ტაი-ცი ციუანს" (და არა მარტო ამ სისტემას), კერძოდ, ჩინური კოსმოგენიის თეორიის საფუძველს, რადგან ზემოთ ნახსენები ვარჯიშთა სისტემა ისევე, როგორც დღეს შედარებით უკეთ ცნობილი იოგთა სისტემა, არ მოგვცემს არავითარ გამაჯანსაღებელ ეფექტს ვარჯიშთა გონებრივი დატვირთვის, შინაგანი თვითშთაგონების გარეშე, რაც, სამწუხაროდ, თქვენს წერილში მოხსენიებულიც კი არ არის. თვითონ ვარჯიშთა თანმიმდევრობაც საეჭვოდ მიმაჩნია და ამდენად იმ წერილიდან მიღებული შთაბეჭდილების შემდეგ ეჭვი იმაშიც მეპარება, რომ მკითხველმა, თუ [illegible]ის მიხედვით ვარჯიში მოისურვა, რაიმე სარგებლობა მიიღოს.

გთხოვთ ცუდად ნუ გაიგებთ წერილის კრიტიკულ ტონს. ჩემი ერთადერთი სურვილია, რომ ჩვენმა მკითხველმა მიიღოს სრული ინფორმაცია თემაზე, რომელიც მას აინტერესებს, ხოლო თუ რა დიდ ინტერესს იწვევს ეს თემა დღეს, მგონი საეჭვოდ არავის მოეჩვენება. არც „ტაი-ცი ციუანის" დიდოსტატად ვაცხადებ თავს, ეს სასაცილო იქნებოდა. მე მხოლოდ ჩემი აზრი გაგიზიარეთ. ჭეშმარიტების დასადგენად კი ურიგო არ არის, მოუსმინო ყველა მოსაზრებას, რაც აღნიშნულ საკითხს ეხება.

„ტაი-ცი ციუანმა" დღეისათვის რამდენიმე იცვალა სახე. არსებობს მისი შემოკლებული ვარიანტი იან მინ შინის რედაქციით და აგრეთვე „ტაი-ცი-ციუანის" იაპონური ვარიანტი, რომელსაც „იაპონური სერიით" იცნობენ იმავე იან მინ შინის რედაქციით. ასე რომ, მსურველს შეუძლია აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი ფორმა, თუმცა დანიშნულება მათ საერთო აქვთ.

**მამუკა მჭედლიშვილი.**

თბილისი.

## სამაგიეროდ რა?

**ვმუშაობ** სანატორიუმში სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტად, მძლევა ხელფასი. გარდა ამისა, უკვე დიდი ხანია ვხელმძღვანელობ (ნებაყოფლობით) სანატორიუმის ფიზკულტურულ კოლექტივს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ქალაქის სპარტაკიადაზე ვიმარჯვებთ, არავითარი პრივილეგია არაფერში არ მიმიღია: არც სამაგიერო დასვენების დღეები (წლების მანძილზე ხომ უამრავი დასვენების დღეები დავკარგე, რომლებიც ჩვენში ორმაგად ნაზღაურდება), არც საგზური საზღვარგარეთ, არც ავტომობილი, რომელსაც უკვე 11 წელიწადია ველოდები.

სპარტაკიადა წელსაც მიმდინარეობს ქალაქში. პროგრამაში სპორტის 15 სახეობაა შეტანილი (ე. ი. 15 შაბათ-კვირა). გარდა ამისა, სხვა შეჯიბრებებიც ხომ გვაქვს, კიდევ უამრავი მუქთა შაბათობები. მოკლედ გადასული ვარ 7-დღიან სამუშაო კვირაზე. არა და კონსტიტუციის ძალით დასვენების უფლება ჩვენც გვაქვს.

მე, ჩემი კოლეგების სახელით მოვითხოვ, რომ ჩვენი შრომა მორალური სტიმულირების რაიმე ფორმით მაინც იქნას ანაზღაურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უარს ვიტყვით ასეთ ძალდატანებით „ნებაყოფლობაზე". ვისაც ვარჯიში და ჯანმრთელობის გაკაჟება სურს, მას ასეთი ცრუ „ნებაყოფლობები" მაინც ვერაფერს მისცემს.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ფიზკულტურა და სპორტი არ მადარდებდეს, მაგრამ საჭიროა, მათაც შესტკიოდეთ გული, ვინც ფიზკულტურისა და სპორტის ბედიღბალს განაგებს.

**მევლუდ ბოგოხიძე.**

წყალტუბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია-90

# შესარჩევი მატჩი

**გუშინ** კიევში შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით — 2:0.

**წინა** დღით კიევში გაიმართა ამავე ქვეყნების ახალგაზრდული გუნდების (ასაკი — 23 წლამდე) ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. უკვე მე-19 წუთისთვის მასპინძლები აგებდნენ ანგარიშით 0:2, მაგრამ შემდგომში მდგომარეობა გამოსწორდა, მოსტოვოიმ და კოლივანოვმა თითო ბურთი გაიტანეს და თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლო, 30-ე ტურის შეხვედრები: „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) 3:2, „სოკოლი" (სარატოვი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „გოიაზანი" (ყაზახი) 3:1, „დილა" (გორი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 0:0, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „თერგი" (გროზნო) 1:2, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „დინამო" (მახაჩყალა) 3:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 2:1, „ბაკინეცი" ბაქო) — „ტორპედო" (ვოლჟსკი) 0:1.

# გუნდიდან გარიცხეს

**მიუხედავად** იმისა, რომ მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს სულ მალე უეფა-ს თასის საპასუხისმგებლო მატჩები აქვს და, გარდა ამისა, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვისაც უნდა იბრძოლოს, უფროსმა მწვრთნელმა ვ. მალოფეევმა გადაწყვიტა კოლექტივიდან გაათავისუფლოს ფეხბურთელები გ. კონდრატიევი და ვ. იანუშევსკი.

— საჭიროა გუნდში აღვადგინოთ შესაბამისი მიკროკლიმატი და ფეხბურთელები განვაწყოთ პატიოსანი, თავგანწირული შრომისთვის. — ასე განუმარტა მინსკელთა უფროსმა მწვრთნელმა საკდესის კორესპონდენტს თავისი გადაწყვეტილება. — ჩემი აზრით, ყველაფერი ეს შეუძლებელი იქნება, თუ თვალი დავხუჭეთ იმაზე, რომ კონდრატიევი სისტემატურად არღვევს რეჟიმს, ხოლო იანუშევსკი უგულოდ, სახვათაშორისოდ მუშაობს.

მინსკის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ბელორუსიის სსრ ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა დისკვალიფიკაცია გამოუტანოს ზემოხსენებულ ფეხბურთელებს, გარდა ამისა, კლუბის ზოგიერთმა ფეხბურთელმა უკანასკნელი გაფრთხილება დაიმსახურა.

## ქალაქის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**დასასრულს** უახლოვდება ქალაქის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნების გუნდებს შორის: 15 ოქტომბერს გაიმართა მეოთხედფინალის ბოლო შეხვედრები. ასტრონომიული ანგარიშით — 25:1 დამთავრდა ვერისა და ორხევის გუნდების შეხვედრა. ქალაქის მინიფეხბურთის აღიარებულმა ლიდერმა ვერის გუნდმა პირველმა მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება. ოქროსუბნელებმა დაძაბულ შეხვედრაში დაამარცხეს ვაჟა-ფშაველას გამზირის გუნდი — 3:2 და მეორე ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა.

დიღმის გუნდი დამარცხდა ისნის კოლექტივთან — 2:3 და ნახევარფინალის საგზური ისნელ ფეხბურთელებს გადაულოცა. მეოთხე გუნდი, რომელიც ნახევარფინალში მიიღებს მონაწილეობას, არის „საბურთალო"-1, რომელმაც ანგარიშით 3:1 სძლია „საბურთალო"-3-ს.

მაშ ასე, 22 ოქტომბერს, „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „საბურთალო"-1 — „ისანი" და „ოქროსუბანი" — „ვერა". შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

## I ლიგა

**18 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-40 ტურის მატჩები.

მეტად დიდმნიშვნელოვანი მატჩი შედგა ვოლგოგრადში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდები, უმაღლეს ლიგაში გადასვლის პრეტენდენტები ადგილობრივი „როტორი" და ლანჩხუთის „გურია". ამ თამაშის შესახებ ჩვენმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** ტელეფონით შეგვატყობინა:

**ინტერესი მატჩისადმი ძალზე დიდი იყო, ვოლგოგრადის სტადიონი ვერ იტევდა მაყურებლებს. მეტოქე გუნდების შემადგენლობანი: „როტორი" — კლეიმანოვი, ბოლშაკოვი, კუზნეცოვი, ხტოგოვი, კულიში, ხომუტეცკი, ხერგეევი, ჩუპინი, სუროვიკინი, ნიკიტინი, კალიტვინცევი; „გურია" — ქანთარია, ტყებუჩავა, ბონდარუკი, დანელია (კაბისაშვილი), პარხომენკო, ცომაია, ჟორდანია, ხლუსი, კორღალიძე (მესხი), ფრიდონაშვილი (გოგრიჭიანი), იავორსკი. იმსაჯა ლენინგრადელმა ტ. ბეზუბიაკმა.**

**პირველ ტაიმში მასპინძლებს მცირედენი უპირატესობა ჰქონდათ, ისინი მინდვრის შუაგულიდან მაღალ ბურთებს აწვდიდნენ „გურიის" საჯარიმო მოედანზე, სადაც მეტოქე ფორვარდებთან სრული დატვირთვით უხდებოდათ ბრძოლა მცველებს, მათ ხშირად ეხმარებოდნენ ნახევარმცველებიც. ამ რგოლების ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებით შესაძლებელი შეიქნა „გურიის" კარის უხიფათობის უზრუნველყოფა.**

**კიდევ უფრო გამწვავდა ბრძოლა შესვენების შემდეგ. ლანჩხუთელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, 68-ე წუთზე ბონდარენკომ კარგად გადააწოდა ჟორდანიას, მან ძლიერად დაარტყა კარისკენ, ბურთი მოხვდა კუზნეცოვს და ბადეში აღმოჩნდა — 1:0.**

**მცირე ხანს შემდეგ, „როტორის" ერთ-ერთი იერიშისას, საჯარიმო მოედანზე ერთმანეთს შეეჯახნენ ნიკიტინი და ცომაია. მსაჯმა ლანჩხუთელთა მცველის მხრივ დარღვევა მიიჩნია და 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ხომუტეცკიმ — 1:1. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი, ვოლგოგრადელმა სტოგოვმა შორეული რეიდი განახორციელა, მის წინააღმდეგ საჯარიმო მოედანზე ცომაია აღმოჩნდა, მათი შეტაკების შემდეგ ტ. ბეზუბიაკმა კვლავ 11-მეტრიანი დანიშნა. პენალტი ხელმეორედაც ხომუტეცკიმ დაარტყა, ბურთმა კვლავ მიაღწია მიზანს — 2:1.**

**მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ამ გადამწყვეტ ვითარებაში მაღალი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს, 78-ე წუთზე ტყებუჩავამ მესხს გადააწოდა ბურთი, ეს უკანასკნელი დრიბლინგით გასცდა მცველებს, მიაწოდა ფრიდონაშვილს და მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 2:2. მეტოქეებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში.**

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა დუშანბეს „პამირმა" აბოვიანში ანგარიშით 3:2 დაამარცხა „კოტაიკი".

ბათუმის დინამოელები ამ ტურში დონის როსტოვში შეხვდნენ ადგილობრივ არმიელებს და მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ — 0:1.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა ანგარიშები ასეთია: „დაუგავა" (რიგა) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:1, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 0:0, „ზვეზდა" (პერმი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 3:1, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 0:1, ცსკა — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 3:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „შინიკი" (იაროსლავლი) 3:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ფახტაქორი" (ტაშკენტი) 1:1.

41-ე ტურის მატჩებს ჩვენი გუნდები შინ ჩაატარებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის დინამოელთა შეხვედრას პერმის „ზვეზდასთან", ბათუმელებს ხელიდან არ უნდა გაუშვან ... გამარჯვება ... მარაგის ... 25 ოქტომბერს „გურია" მიიღებს ტიუმენის „გეოლოგს".

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 38 | 22 | 10 | 6 | 69-38 | 54 |
| „როტორი" | 38 | 22 | 6 | 10 | 66-33 | 50 |
| ცსკა | 37 | 20 | 9 | 8 | 55-29 | 49 |
| „გურია" | 37 | 21 | 6 | 10 | 59-33 | 48 |
| „ფახთაქ." | 38 | 19 | 10 | 9 | 56-32 | 48 |
| „დინ." სტ. | 38 | 17 | 10 | 11 | 54-40 | 44 |
| ასკ „კარპ." | 38 | 17 | 8 | 13 | 48-27 | 42 |
| „დაუგავა" | 38 | 17 | 6 | 15 | 52-48 | 40 |
| ასკ რ. | 37 | 14 | 10 | 13 | 49-54 | 38 |
| „ტავრია" | 39 | 13 | 12 | 14 | 33-41 | 38 |
| „გეოლოგი" | 38 | 15 | 5 | 18 | 41-51 | 35 |
| „კოტაიკი" | 39 | 14 | 7 | 18 | 52-76 | 35 |
| „სპარტაკი" | 38 | 13 | 8 | 17 | 49-54 | 34 |
| „როსტსელ." | 38 | 13 | 8 | 17 | 55-63 | 34 |
| „შინიკი" | 39 | 13 | 8 | 18 | 39-47 | 34 |
| „კუზბასი" | 38 | 11 | 13 | 14 | 30-38 | 34 |
| „მეტალურ." | 38 | 11 | 12 | 15 | 26-37 | 34 |
| „დინ." ბ. | 37 | 13 | 5 | 19 | 35-42 | 31 |
| „ზარია" | 38 | 11 | 8 | 19 | 43-52 | 30 |
| „ყუბანი" | 39 | 10 | 10 | 19 | 33-51 | 30 |
| „ზვეზდა" | 38 | 8 | 12 | 18 | 32-62 | 28 |
| „კოლოსი" | 38 | 9 | 7 | 22 | 28-56 | 25 |

## ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

**გასულ** შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები:

**„დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ლობჟანიძე, ვარადაშვილი, ქოქიაშვილი („დურუჯი"), ნასყაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: ალანია, ჩიქობავა-2 (ეგრისი"), სევასტოპულო („მაღაროელი").

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს თ. ბალოშვილი („ეგრისი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ელოევი, ლობჟანიძე („დურუჯი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ივერია" (ხაშური) 3:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ბენდელიანი, ი. სიჭინავა, ვ. სიჭინავა („სამეგრელო").

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: სიუკაევი-2 („მეტალურგი").

**„მეშახტე" (ტყიბული) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

**„არმაზი" (მცხეთა) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი).**

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისათვის გააფრთხილეს ა. ზუკაკიშვილი („არმაზი"), ხოლო უხეში თამაშისთვის — რ. კანკაძე („სულორი"). მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ჯ. ვერულაშვილი („სულორი").

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ტიბუა, ვ. თუთბერიძე („დინამო").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი ზ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: კერესელიძე („შადრევანი"), სამხარაძე („მადნეული").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ვ. ხერიოიანი (თბილისი).** გოლები: აფანდეპულო-2, როსტობაია, ქობალია („ამირანი").

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ბ. ახვლედიანი („ამირანი").

**„კოლხეთი" (ხობი) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლი: ქომეთიანი („კოლხეთი").

**„დინამო" (გაგრა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი კ. დავითიანი (ბათუმი).**

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ჭუბაბრია („სალხინო").

### მსაჯთა რეესტრი

„ივერია" (ხაშური) — „დურუჯი" (ყვარელი). **რ. გარნოვსკი, გ. კვანტალიანი, თ. ჯულაყიძე** (სამტრედია). „სპარტაკი" (ცხინვალი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ). **ვ. ეჯიბია, დ. გაგნიძე, გ. ხერხეულიძე** (თბილისი). „დინამო" (ზუგდიდი) — „არმაზი" (მცხეთა). **ვ. ალიევი, თ. კურტანიძე, ო. გუნთაძე** (თბილისი). „სქური" (წალენჯიხა) — „ამირანი" (ოჩამჩირე). **შ. ხანიაშვილი, ი. კანდელაკი** (თბილისი), **ნ. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „სალხინო" (გეგეჭკორი) — „კოლხეთი" (ხობი). **ვ. მიმინოშვილი, ე. სილაგავა, ბ. თოფურია** (თბილისი). „საპოვნელა" (თერჯოლა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). **ზ. ჯინჭარაძე** (მახარაძე), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე), **დ. გვაზავა** (აბაშა). „სულორი" (ვანი) — „მეშახტე" (ტყიბული). **ა. კოკაია, ა. მანუკიანი, ლ. ჩიტაია** (თბილისი). „მადნეული" (ბოლნისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). **ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი, მ. ბეჟიაშვილი** (რუსთავი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შადრევანი" (წყალტუბო). **ი. გობრონიძე, თ. კოკაია, ვ. წულუკიძე** (ფოთი). „ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (გაგრა). **მ. კობიაშვილი, გ. მენთეშაშვილი, თ. სოფრომაძე** (თბილისი). „ბახტრიონი" (ახმეტა) — „მაღაროელი" (ჭიათურა). **თ. ლორთქიფანიძე** (თბილისი), **გ. შავგულიძე, გ. გელავა** (რუსთავი).

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მეფრინველე" — „თორი" 1:1, ასს—„მეტალისტი" 0:4, სპი-„დინ".-3 — „ალგეთი" 2:1, „კახეთი" — სსი (მუხრანი) 4:3, „ფოსტამტი" — „თრიალეთი" 4:1, „არაგვი" — „აბული" 3:2, „იმედი" — „ვარძია" 1:1.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ოდიში" — „ჩიბათი" 4:3, „დვაბზუ" — „ბახმარო" 0:0, „ქიმიკოსი" — „დარჩელი" 2:2, „ჩიხურა" — „ჩხერიმელა" 5:1, „მზიური" — „მამისონი" 3:1, „კოლხეთი"-2 — „ნარინჯი" 2:3, პოლიტ. ინსტ. (ქუთ.) — ხდკ 2:1, „საირმე" — „იმერეთი" 3:2.

## ფეხბურთი

### III ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი" — „მარაბდა" 4:3, „ნაფარეული" — „განთიადი" 2:0, „ქიზიყი" — „თუშეთი" 0:4, „შირაქი" — „ალაზანი" 1:0, „ვარდისუბანი" — „მიონი"-35" 2:1.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ხვამლი" — „მეშაქრე" 2:0, „ფეიქარი" — „ავტომობილისტი" 5:0, „ფარვანა" — „მეავეჯე" 2:0, „ბაგიათი" — „მშენებელი" 2:4, „ქვემოჭალა" — „ლიახვი" 1:1.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი" — „ხელვაჩაური" 3:2, უნივერსიტეტი (სოხუმი) — „ზანა" 3:1, „ალიონი" — „მელექედური" 1:4, „კოლხიდა" — „სუბტროპიკი" 2:2.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" | 32 | 22 | 7 | 3 | 76-35 | 51 |
| „სულორი" | 33 | 22 | 7 | 4 | 60-27 | 51 |
| „დინ." ზ. | 33 | 20 | 10 | 3 | 78-36 | 50 |
| „ამირანი" | 33 | 17 | 6 | 10 | 58-38 | 40 |
| „შადრევანი" | 33 | 14 | 8 | 11 | 49-44 | 36 |
| „დურუჯი" | 32 | 13 | 10 | 9 | 39-38 | 36 |
| „სამეგრელო" | 33 | 16 | 2 | 15 | 60-59 | 34 |
| „მადნეული" | 33 | 12 | 10 | 11 | 61-54 | 34 |
| „მეტალურ." | 33 | 14 | 5 | 14 | 59-52 | 33 |
| „დინ." გ. | 33 | 14 | 5 | 14 | 40-45 | 33 |
| „სპარტაკი" | 33 | 12 | 8 | 13 | 53-48 | 32 |
| „მაღარ." | 33 | 13 | 4 | 16 | 52-56 | 30 |
| „საპოვნ." | 33 | 11 | 8 | 14 | 43-45 | 30 |
| „სალხინო" | 33 | 11 | 6 | 16 | 45-58 | 28 |
| „ივერია" | 33 | 10 | 8 | 15 | 36-50 | 28 |
| „მეშახტე" | 33 | 9 | 10 | 14 | 27-46 | 28 |
| „არმაზი" | 33 | 8 | 11 | 14 | 40-51 | 27 |
| „ბახტრ." | 32 | 10 | 6 | 16 | 36-49 | 26 |
| „სქური" | 33 | 10 | 5 | 18 | 44-55 | 25 |
| „ქართლი" | 33 | 9 | 6 | 18 | 35-57 | 24 |
| „ეგრისი" | 33 | 9 | 6 | 18 | 38-64 | 24 |
| ფიზკ. ინსტ. | 32 | 6 | 10 | 16 | 50-72 | 22 |

## ფეხბურთი

## მიმართავენ საგანგებო ზომებს

**დაიწყო** იტალიის 1988-89 წლების ჩემპიონატი ფეხბურთში. გარდა იმისა, რომ ეს ჩემპიონატი საიუბილეოა (90-ე), იგი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობამ 16-დან 18-მდე მოიმატა, ეს კი საგანგებო მოვლენად ითვლება, ვინაიდან იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კონსერვატულობით გამოირჩევა და იშვიათად თუ მიმართავს მსგავს რეფორმებს. ეტყობა, ამ გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ იტალიაში ფეხბურთისადმი ინტერესმა მნიშვნელოვნად იმატა, 1990 წელს აქ ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი, გარდა ამისა, უმაღლესი ლიგის გუნდებს ნება დაერთოთ თავიანთ შემადგენლობაში ორის ნაცვლად სამი უცხოელი ფეხბურთელი ათამაშონ. წლეულს, როგორც ცნობილია, ტურინის „იუვენტუსის" შემადგენლობაში გამოდის საბჭოთა ფეხბურთელი ალექსანდრე ზავაროვი. პირველივე მატჩში, რომელიც „იუვენტუსმა" სტუმრად გამართა „კომოსთან", მან საუკეთესოდ ითამაშა, „იუვენტუსმა" გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

იტალიის პრესა აღნიშნავს, პირველივე მატჩებზე გულშემატკივართა ხულიგნურ საქციელს, ზოგიერთ სტადიონზე ისეთი ამბები მოხდა, რომ იტალიის ხელისუფლება იძულებულია საგანგებო ზომებს მიმართოს, ამიერიდან კალენდარული მატჩების დროს პოლიციისა და ჯარის ძალებს მიავლენენ სტადიონებზე, წესრიგის დამრღვევებს მკაცრად დასჯიან.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანტონიო გავამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უწესრიგობანი უნდა აღმოიფხვრას ახლავე, ამთავითვე. იტალიის პოლიციის ხელმძღვანელი ვინჩენცო პარიზი სათავეში ჩაუდგება საგანგებოდ დაგეგმილ ოპერაციას და ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ტურიდან ბრძოლას ხულიგნებთან უკომპრომისო ხასიათი მიეცემა. პოლიციურ რაზმებს უკვე მიეცათ შესაბამისი მითითებანი.

იტალიის 4 ქალაქში აღინიშნა დებოშის, უწესრიგობისა და ვანდალიზმის შემთხვევები. გაზეთმა „კორიერე დელო სერამ" მოსახლეობას მოუწოდა დაღუპვისგან იხსნან სპორტის ეს ყველაზე უფრო პოპულარული და ლამაზი სახეობა — ფეხბურთი. ჯერ კიდევ შარშან იტალიის ჩემპიონატის მატჩებში 600 კაცი დაიჭრა და დასახიჩრდა, რომელთაგან 268 პოლიციელია. 275 ხულიგანი გულშემატკივარი დააპატიმრეს დებოშისთვის.

ცნობილმა ტელემაგნატმა, „მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ საფეხბურთო მატჩებზე მხოლოდ ის გულშემატკივრები უნდა დაუშვან, ვინც არ არის პოლიციის „შავ სიაში" მოხვედრილი.



## ფეხბურთი

## ყველაზე ძვირი დაუჯდათ

**ინგლისურმა** პრესამ გამოაქვეყნა 1988-89 წლების სეზონში ფეხბურთელთა სხვა კლუბებში გადასვლების სია. აი, ყველაზე უფრო ძვირი გარიგებები:

იან რეში „იუვენტუსიდან" 2.800.000 დოლარად გადავიდა „ლივერპულში". ტონი კოტი „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" 2.300.000 დოლარად დაუთმო „ევერტონს", პოლ გასკოინი „ნიუკასლ იუნაიტედიდან" გადავიდა „ტოტენჰემ ჰოტსპურში" (2.000.000 დოლარი), პოლ სტიუარტი „მანჩესტერ სიტიდან" — იმავე „ტოტენჰემ ჰოტსპურში" (1.700.000 დოლარი), მარკ ჰიუზი „ბარსელონიდან" — „მანჩესტერ იუნაიტედში" (1,5 მილიონი დოლარი), ჰარი სტივენსი „ევერტონიდან" — „გლაზგო რეინჯერსში" (1 მილიონი დოლარი), კლაივ ალენი „ტოტენჰემ ჰოტსპურიდან" — ბორდოს „ჟირონდაში" (1 მილიონი დოლარი), პატ ნევინი ლონდონის „ჩელსიდან" — „ევერტონში" (925.000 დოლარი).

# სცენაზე არიან ათლეტიზმის ოსტატები

**ათლეტიზმში** საქართველოს თასის პირველმა გათამაშებამ რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია: რკინიგზელის სახლის დარბაზში, სადაც ეს შეჯიბრება ჩატარდა, არცერთი თავისუფალი ადგილი არ ყოფილა.

რესპუბლიკის სპორტსახკომმა და საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციამ პირველობაში დაუშვეს ჩვიდმეტი სპორტსმენი — „დინამოს", კოოპერაციული ათლეტური კლუბის „ეტალონის", თბილისის სპორტის სასახლის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რუსთავის სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შეჯიბრება მიმდინარეობდა სამ წონით კატეგორიაში: 75, 82,5 და 90 კილოგრამამდე, ამასთან პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ ჭაბუკები — 18 წლამდე და იუნიორები — 18-დან 23-წლამდე.

— კუნთების ჯგუფის — კიდურების, ტანის, მხრის ზედა და სარტყელის განვითარების ჩვენების უნარი, აგრეთვე, სხეულის პლასტიკა, ჰარმონია, სილამაზე, მუსიკალობა და არტისტიზმი — აი, სავალდებულო და თავისუფალი პროგრამების ელემენტები, რომლებსაც მკაცრ შეფასებას აძლევდა ხუთი მსაჯი, — თქვა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა კოტე მაცაბერიძემ.

როცა შედეგები გამოაცხადეს, დარბაზი გულთბილად მიესალმა პრიზიორებს. ესენი არიან: 75 კილოგრამამდე წონის ჭაბუკებს შორის — გივი ბურჯანაძე, ალექსანდრე ბარაში, ლევ ნიკულინი, იმავე წონითი კატეგორიის იუნიორთა შორის — რაიბულ კირკიტაძე, ირაკლი ყარსიმაშვილი, ალექსანდრე ბერაძე, 82,5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში — ალეკო ჯანჯუგაზოვი, ირჟი ბროუჩეკი, ვიქტორ ტიტიაევი, 90 კილოგრამამდე — დავით რაზმაძე, ლევან ლუბენეცი, ენრიკო კოპლატაძე. დამატებით შეჯიბრებაში, რომელმაც განსაზღვრა ათლეტიზმში აბსოლუტური გამარჯვებული და საქართველოს თასის მფლობელი — გახდა რუსთაველი სპორტსმენი დავით რაზმაძე, სწორედ მას მიენიჭა პატივი წარმოადგენდეს საქართველოს საკავშირო ტურნირზე, რომელიც ნოემბერში გაიმართება.

— რესპუბლიკისათვის ახალი სახეობის სპორტში, რომელმაც სულ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, გამარჯვების გზა ძნელია, — თქვა შემდეგ კოტე მაცაბერიძემ. — გახდე ღონიერი, ლამაზი, ჰარმონიულად განვითარებული ათლეტი, შეიძლება მხოლოდ შეუპოვარი შრომის შედეგად: სიმძიმეების აწევაში ინტენსიური ვარჯიშით, სპეციალურ ტრენაჟორებზე ვარჯიშით, ცურვით, ტანვარჯიშით, ქორეოგრაფიით. ამისათვის დღეს სხვადასხვა სპორტულ ბაზებზე იქმნება საჭირო პირობები, და ჩვენ ვიწვევთ ყველა მსურველს შეავსოს ქართველ ათლეტიზმის ოსტატთა რიგები.

**გ. დიორტკინი,**
**საქინფორმის კორ.**

• • •



დავით რაზმაძე

ა. რუხაძისა და ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

# რჩება ოთხი გუნდი

**ისლანდიის** ქალაქ რეიკიავიკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მესამე ეტაპი. 13 ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავ საბჭოთა დიდოსტატები ლიდერობენ. მიხეილ ტალმა და იან ელვესტმა 8-8 ქულა მოაგროვეს. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება ალექსანდრე ბელიავსკი, რომელსაც მეცამეტე ტურის პარტია გარი კასპაროვთან დაუმთავრებელი დარჩა, კასპაროვს 7 ქულა აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვეს ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა, ანდრეი სოკოლოვმა, არტურ იუსუპოვმა, ინგლისელმა დიდოსტატმა ჯონ ნანმა და ისლანდიელმა იოჰან ჰიარტარსონმა.



## საქართველოს ჩემპიონატი რეგბიში

ზესტაფონსა და ჭიათურაში გაიმართა საქართველოს რეგბისტთა ჩემპიონატის მორიგი ორი ტური. შეხვედრები ასე დამთავრდა: ზესტაფონი — ზოოვეტი 0:64, ქუთაისი — თსუ 30:16; ქუთაისი — ზოოვეტი 16:9, ზესტაფონი — თსუ 6:7; ჭიათურა — სპი 18:9, ასკ — „ავიატორი"13:3; ჭიათურა — ასკ 6:9, სპი — „ავიატორი" 3:37. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 1. ასკ (10 ქულა), 2. ქუთაისი (8), 3. ჭიათურა (7), 4. „ავიატორი" (6), 5. ზოოვეტი (5), 6-7. სპი და თსუ (2-2), 8. ზესტაფონი (0).

## საქველმოქმედო მატჩი

**ხილვერსიუმი.** ჰოლანდიის ამ ქალაქში გაიმართა რეგბისტთა მატჩი, რომელშიც ამ ქვეყნის ნაკრებმა უმასპინძლა რვა ქვეყნის მოთამაშეებით შედგენილ მსოფლიო ნაკრებს. ამ შეხვედრის გამართვის იდეა ფრიად კეთილშობილური იყო: ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში მძიმედ დაშავდა ჰოლანდიელი რეგბისტი მარსელ ბირმანი. ექიმების ცდა, გამოეჯანმრთელებინათ სპორტსმენი, უშედეგო გამოდგა — იგი სამუდამოდ მიეჯაჭვა საწოლს. ეს შეხვედრა სწორედ დაზარალებული რეგბისტის სასარგებლოდ მოეწყო — შემოსავალი მას გადაეცემა. საქველმოქმედო მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 36:10.

# ნარუმატებლობა თუ...

**42 წლის** ჰოლანდიელ ველომრბოლის ფრედ რომპელბერგის ცდა, დაემყარებინა ახალი მსოფლიო რეკორდი, უშედეგოდ დამთავრდა. სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ) მახლობლად მდებარე მარილიან ტრეკზე, სადაც არაერთი რეკორდი დაუმყარებიათ ავტომრბოლებს, ჰოლანდიელი სპორტსმენი დავარდა მაშინ, როდესაც ლიდერს „ჩაუჯდა თვალში" და მისი სიჩქარე საათში 216 კილომეტრს უდრიდა. დაცემის შემდეგ რომპელბერგი ინერციით კიდევ 168 მეტრი გაცურდა ტრეკზე. საბედნიეროდ, ჩაფხუტმა და ტყავის სპეციალურმა ტანსაცმელმა დაიცვეს სპორტსმენი სერიოზული ტრავმისაგან. გუნდის წარმომადგენლის ტერი ნიშის განცხადებით, თუ სამედიცინო შემოწმების შედეგები დადებითი იქნება, რომპელბერგი გაიმეორებს თავის ცდას დაამხოს ახლანდელი მსოფლიო რეკორდი (243,65 კმ სთ), რომელიც ჯონ ჰოვარდს ეკუთვნის.

## მეორე მატჩიც მოიგეს

გაიმართა პროფესიონალ ბეისბოლისტთა მსოფლიო სერიის მეორე მატჩი. მასპინძლებმა — „ლოსანჯელესის დოჯერსის" თავდამსხმელებმა პირველი ოთხი ინინგის განმავლობაში „ოკლენდ ათლეთიქსის" მცველებს 6 „მშრალი" ქულა აართვეს, დარჩენილ ხუთ ინინგში კი მეტოქეთა ცდა, შემოერბინათ ოთხივე ბაზისთვის, უშედეგო გამოდგა. ანგარიშით 6:0 გაიმარჯვეს ლოსანჯელესელებმა და სერიაშიც დაწინაურდნენ —2:0. მომდევნო სამი მატჩი უკვე ოკლენდში გაიმართება, სულ კი, როგორც ადრე გაუწყეთ, სერიის მოსაგებად ოთხი თამაშის მოგებაა საჭირო.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

## სეულის ექო

### ბენ ჯონსონი და საფეხბურთო ლიგა

**ათიდან** ერთ-ერთი სპორტსმენი, რომელმაც თავი შეირცხვინა სეულის ოლიმპიადაზე, სახელგანთქმული კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი იყო. მან ოლიმპიურ ოქროს მედალთან ერთად დაკარგა 5 მილიონიანი კონტრაქტი ფეხსაცმლის ფირმა „დიადორასთან" და კიდევ მილიონობით დოლარი სხვა ფირმებთან.

100 მეტრზე გარბენის შემდეგ, როგორც ცნობილია, მას აღმოუჩინეს ანაბოლური სტეროიდი — სტანოზოლოლი, რომლის შემდეგაც იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ტორონტოში, უნდა აღინიშნოს, რომ სტანოზოლოლი ერთ-ერთი ყველაზე საშიში სტეროიდია, რომელიც თუმცა ზრდის კუნთების მოცულობას, გამძლეობას და ძალას, მაგრამ მან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ღვიძლი და გამოიწვიოს კიბოს დაავადება.

ძალიან მტკივნეული იყო თითქმის ყველა სპორტსმენის რეაქცია ჯონსონთან დაკავშირებულ სკანდალზე. ინგლისელმა სპრინტერმა ლინფორდ კრისტიმ, რომლის ბრინჯაოს მედალი ვერცხლად „გადაიქცა", ეს ფაქტი სულაც არ აღნიშნა სიხარულით, მან განაცხადა კიდეც, რომ: „ეს იყო მწუხარე დღე მძლეოსნობისთვის და ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი".

პრესაში გამოქვეყნებული ბენ ჯონსონის სახელოვანი ტიტულების ნუსხა კი უკვე ასე თავდება: „1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დისკვალიფიკაციამდე". ამჟამად, კანადაში, ჯერჯერობით ჯონსონი განკიცხულივით გამოიყურება. „ბენ ჯონსონ, როგორ შეძელი შენ ეს?" —ასეთი კითხვით მიმართა ყოფილ ეროვნულ გმირს რადიოთი ჩასვლისთანავე საჰაერო ხაზის დიქტორმა.

ედვინ მოზესი, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული სპორტსმენი და დოპინგსაწინააღმდეგო კამპანიის აქტიური მონაწილე, აცხადებს, რომ ჯონსონმა თავისი საქციელით აზრი გაუჩინა წინადადებას, რომ სპორტსმენები შემოწმდნენ თვით ვარჯიშის დროსაც კი.

ამერიკის საფეხბურთო ლიგის გუნდის „დალასელი კოვბოების" მესვეურნი კი თვალებს ხუჭავენ ამაზე. გუნდის უფროსმა ბობ აკლესმა განაცხადა: „დაინტერესებულები ვართ მის შეძენაში. ათლეტური მონაცემები და სისწრაფე, რომელიც მას გააჩნია, არ შეიძლება ყურადღებას არ იპყრობდეს".

**ინგლისური პრესის მასალების მიხედვით წერილი მოამზადეს გიორგი და შალვა კოკოჩაშვილებმა.**

**რედაქციისაგან.** ბენ ჯონსონმა სეულის ოლიმპიადაზე მართლაც მიუტევებელი საქციელი ჩაიდინა, ამიტომ ზოგიერთ სპორტის მოყვარულს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ კანადელმა სპრინტერმა თავის ყველა წარმატებებს ასევე დოპინგის წყალობით მიაღწია. ამ მოსაზრების უარყოფა იოლად შეიძლება. შარშან, რომის მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჯონსონმა პირდაპირ გაანადგურა ყველა თავისი ფანტასტიკური რეკორდით, რომელიც, ალბათ, გახსოვთ, 9,83 უდრიდა. მაშინვე, ბუნებრივია, დაიბადა ეჭვი, რომ ჯონსონმა რაღაც სხვა საშუალება დაიხმარა გამარჯვების მისაღწევად. სადოპინგო კომისიამ რომში ყველაზე გულდასმით სწორედ მისი ანალიზი შეამოწმა, მაგრამ დოპინგის ნასახიც ვერ ნახეს. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რომელიც ჯონსონმა იტალიაში მიიღო, ისევე კანონიერია, როგორც სხვებისა, რომლებიც ასევე პირნათელნი აღმოჩნდნენ სამედიცინო კომისიის წინაშე. სეულში ამტყდარი სკანდალის მიუხედავად ბენ ჯონსონი მაინც უძლიერეს სპორტსმენად რჩება და ამდენად, უფრო სამარცხვინოდ ჩანს მისი საქციელი. თუ რამ აიძულა მას მიეღო ძლიერმოქმედი პრეპარატი, ამას იქნებ დრომ მოჰფინოს ნათელი. ის კი ცხადია, რომ ჯონსონი ოლიმპიადის წინ უფრო უარეს სპორტულ ფორმაში იყო, ვიდრე რომის მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ალბათ გახსოვთ, მან ციურიხში პრინციპული დუელი წააგო. კარლ ლიუისთან. ამიტომ დოპინგის მიღებით მან, შესაძლოა, თავი დაიზღვია მოსალოდნელი მარცხისაგან.

თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი, როგორც ბევრი სხვა ცნობილი მძლეოსანი, აქამდე მოხერხებულად ნიღბავდა აკრძალული პრეპარატის კვალს დოპინგ-კონტროლის კომისიისაგან, და მხოლოდ სეულში გაცხადდა ყველაფერი, მაგალითად, ამას ამტკიცებენ ჯონსონის თანაგუნდელები.

### ხელმოცარული სცენეს... საუკეთესოდ

ბევრს კარგად ახსოვს XXIV ოლიმპიური თამაშების მოკრივეთა ტურნირის ერთ-ერთი ფინალური ბრძოლა, რომლის შედეგმა ყველა აღაშფოთა. დიახ, ლაპარაკია ამერიკელ როი ჯონსისა და სამხრეთკორეელ პაკ სი ხუნის შეხვედრაზე, სადაც, გაუგებარი მიზეზების გამო, თამაშების ჩემპიონად რინგის მასპინძელი აღიარეს. მიუხედავად ამისა, სპეციალურმა ჟიურიმ ოლიმპიადის ყველაზე ტექნიკური მოკრივის სპეციალური პრიზი როი ჯონსს მიაკუთვნა. მან მართლაც დამაჯერებლად დაჯაბნა მეტოქე, მეორე რაუნდში ხუნი ნოკდაუნშიც კი გაგზავნა, მაგრამ მოხდა უცნაური რამ: ანგარიშით 3:2 გამარჯვება კორეელ სპორტსმენს მიენიჭა. სხვათა შორის, სოხუმელმა არბიტრმა — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ზაურ გვაჯავამ გამარჯვება ანგარიშით 60:56 ამერიკელს მისცა. ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იყო. ასეთივე შეფასება მისცა ამ ორთაბრძოლას უნგრელმა მსაჯმა, უგანდელმა კი აღნიშნა ფრე — 59:59, ხოლო თემიდას ურუგვაელმა და მაროკოელმა მსახურებმა ქულათა რაოდენობა — 59:58 ხუნის სასარგებლოდ დაითვალეს.

ამის მიუხედავად, ამერიკელი მოკრივე დაეუფლა მოკრივეთა საუკეთესო პრიზს — ბაკარის თასს, რომელიც 1936 წლიდან საუკეთესო ტექნიკის მქონე მოკრივეს ენიჭება ოლიმპიადაზე. ამით თავისებური კომპენსაცია მოხდა იმ ბედუკუღმართი გადაწყვეტილების გამო, რაც ჯონსის მიმართ „იკადრეს" მსაჯებმა ფინალურ ბრძოლაში.

### რეაბილიტაცია

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის მონაწილეს უნგრელ ტიბორ კომაროშს ორგანიზმში დოპინგის კვალი აღმოუჩინეს. როგორც ცნობილია, 82 კგ წონითი კატეგორიის ფინალში იგი მიხეილ მამიაშვილთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა, მაგრამ ანალიზის შემდეგ ამ ჯილდოს ბედი ბეწვზე დაეკიდა, თავად სპორტსმენი კი დისკვალიფიკაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

მაგრამ სამედიცინო კომისიამ მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ანალიზი ხელახლა ჩაატარა და... თავად გამტყუნდა. ადრინდელი დიაგნოზი არასწორი გამოდგა. კომაროში დარჩა თავის უფლებებში.

რეაბილიტირებულია ინგლისელი სპრინტერი ლინფორდ კრისტიც, რომელიც ბენ ჯონსონის გახმაურებული სკანდალის შემდეგ 100 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა და რომელსაც თავდაპირველად დოპინგის მიღება დასწამეს. მაგრამ სამედიცინო კომისიამ აქაც პრინციპულობა გამოიჩინა და განმეორებითი ანალიზის შემდეგ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება გააუქმა.

## ჯანმრთელი რომ ვიყოთ

**პირველი** ქართველი „ცი-გუნ"-ის სპეციალისტი ვაჟა გიგიტაშვილი ჭადრაკის სასახლის შენობაში ყოველ დღე, დილის 8-დან 10 საათამდე ატარებს მკურნალობას ჩინური ვარჯიშების გამოყენებით, ეს ვარჯიშებია — „უ-შუ" და მისი ერთ-ერთი უმთავრესი სახეობა „ცი-გუნ".

ვაჟა გიგიტაშვილს მუშაობაში კონსულტაციას უწევს მისი მასწავლებელი, ჩინელი სპეციალისტი ტომანი, ხოლო სამედიცინო დაკვირვებას ამ ავადმყოფების გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ახდენს კარდიოლოგი და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა თარხნიშვილი.

გარდა საერთო გამაჯანსაღებელი ზემოქმედებისა, ჩინური ვარჯიშები კურნავს ჰიპერტონიის I და II-ა სტადიებს, ინსულტის ნარჩენ მოვლენებს, ვეგეტონევროზებს, ბრონქიალურ ასთმას, ენდარტერიტს, ქრონიკულ ჰეპატიტს, სახსრების დაავადებას და გულის რითმის დარღვევას.

განსაკუთრებით კარგი შედეგი აქვს აღნიშნული დაავადებების მკურნალობას თუ ჩინურ ვარჯიშებთან ერთად ავადმყოფებს ჩაუტარდებათ კომპლექსური მკურნალობა ჩინური ნემსების გამოყენებით, ეგრეთ წოდებული ნემს-რეფლექსოთერაპია.

ამავე დაავადებებს შველის იოგათერაპიის კურსული მკურნალობაც, რომელსაც ატარებს იოგათერაპიის ცნობილი სპეციალისტი ალექსი იაკობაშვილი. მასთან ერთად მუშაობს და ვარჯიშების ჩატარების დროს გულსისხლძარღვთა სისტემას იკვლევს თერაპევტი ოლღა იაკობაშვილი.

მკურნალობა კურსულია, თითო კურსში შედის 20 პროცედურა. მკურნალობისათვის საჭირო თანხის გადახდა ხდება ფასიანი სამედიცინო ცენტრის რეგისტრატურაში, რომელიც მდებარეობს თბილისის ცენტრში, ლეო ქიაჩელის ქ. № 18-ში, 17-დან 21 საათამდე, ხოლო შაბათობით 11-დან 15 საათამდე.

**ფასიანი სამკურნალო ცენტრი „ვერისუბანი".**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10899